



დანართი N17

## გეგმური იმუნიზაციის რეკომენდაციები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს

### მთავარი პრინციპები

მოსახლეობის ნდობის შენარჩუნება იმუნიზაციის და ჯანდაცვის სისტემის მიმართ უმნიშვნელოვანესია. COVID-19 ეპიდემიის განმავლობაშიც კი აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით მოსახლეობის ვაქცინაციის სარგებლის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ვაქცინაციით მოცვის ტენდენციების მონიტორინგის წარმოება, ასევე, მისი კლების მიზეზების, მათ შორის, მოსახლეობის და ცალკეული ჯგუფების ვაქცინაციისთვის შესაძლო წინაღობების გარკვევა.

### იმუნიზაციის პროგრამების ფუნდამენტური პრინციპები COVID-19 პანდემიის დროს:

- ა) COVID-19-ის გავრცელების პრევენციისათვის არსებულ გაიდლაინებით ხელმძღვანელობა. შესაბამისი პროგრამული დებულებები ვაქცინაციის დროს SARS-CoV-2 გადაცემის რისკის შემცირების მიზნით, მოცემულია N1 დანართში;
- ბ) პირველადი ვაქცინების პრიორიტეტიზაცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება წითელას, წითურას ან პოლიომიელიტის კომპონენტების შემცველ ვაქცინებს და სხვა კომბინირებულ ვაქცინებს;
- გ) მასობრივი ვაქცინაციის კამპანიების შეწყვეტა COVID-19-თან დაკავშირებული სიტუაციის შეწყვეტამდე;
- დ) ახალშობილთა ვაქცინაცია (ვაქცინაციის ეროვნული კალენდრის შესაბამისად) სამშობიაროებში;
- ე) პნევმოკოკისა და სეზონური გრიპის აცრებისთვის მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტულობა;
- ვ) ვაქცინების ეროვნულ კალენდარში ნებისმიერი ახალი ვაქცინის დანერგვის გადადება;
- ზ) საზოგადოებისა და ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის მკაფიო განმარტება COVID-19 პანდემიის დროს იმუნიზაციის წარმოების, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ერთერთი პრიორიტეტის, მართვადი დაავადებების რისკის და ვაქცინაციის სარგებლის შესახებ.

## გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი

იმუნიზაციის გაგრძელების შესახებ სტრატეგია მიღებული უნდა იქნას ეპიდემიოლოგიური, ოპერაციული და კონტექსტუალური მახასიათებლების მიხედვით.

<p><b>სიტუაცია 1:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვადი ინფექციების დაბალი რისკი და მსხვილი აფეთქებების საშიშროების არ არსებობა</li> <li>• COVID-19-ის არ არსებობა, ან სპორადული შემთხვევები</li> <li>• იმუნიზაციის საკმარისი პერსონალის და ლოჯისტიკური შესაძლებლობების არსებობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რუტინული იმუნიზაციის გაგრძელება აცრების პირველად კომპექსებზე აქცენტირებით.</li> <li>• იმუნიზაციით მართვად დაავადებებზე ზედამხედველობის შენარჩუნება და გაძლიერება</li> </ul>
<p><b>სიტუაცია 2:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვადი ინფექციების მაღალი რისკი და აფეთქებების და სიკვდილობის გამოწვევის საშიშროების არსებობა, COVID-19-ის შემთხვევების არარსებობა ან სპორადული შემთხვევები</li> <li>• იმუნიზაციის საკმარისი პერსონალის და ლოჯისტიკური შესაძლებლობების არსებობა</li> </ul>	
<p><b>სიტუაცია 3:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვადი დაავადებების დაბალი რისკი და მსხვილი აფეთქებების საშიშროების დაბალი რისკი</li> <li>• COVID-19-ის შემთხვევების არარსებობა ან სპორადული შემთხვევები</li> <li>• იმუნიზაციის სამსახურის პერსონალი დაკავებულია COVID-19-ისთვის მზადებასა და საპასუხოდ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმუნიზაციის გაგრძელების შესახებ ალტერნატიული გზების შემუშავება მაგ:             <ul style="list-style-type: none"> <li>- იმ მედპერსონალის მოზიდვა და ტრენირება, რომლებიც არ არიან ჩართული COVID-19-ზე პასუხში, NGO-ების ჩათვლით</li> <li>- ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების შემცირება ვაქცინაციისა და ჯანმრთელი ბავშვის პატრონაჟის, ან გასასინჯად ვიზიტების ხარჯზე</li> </ul> </li> </ul>
<p><b>სიტუაცია 4:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვადი დაავადებების დაბალი რისკი და მსხვილი აფეთქებების საშიშროების დაბალი რისკი</li> <li>• COVID-19-ის კლასტერული და/ან შიდა გადაცემა</li> <li>• იმუნიზაციის სამსახურის პერსონალი დაკავებულია COVID-19-ისთვის მზადებასა და საპასუხოდ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვთა იმ კოჰორტების შედგენა, რომლებსაც ჩაუვარდათ გეგმიური აცრა იმუნიზაციით მართვად დაავადებებზე ზედამხედველობის შენარჩუნება და გაძლიერება</li> </ul>

<p><b>სიტუაცია 5:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მართვადი ინფექციების მაღალი რისკი და აფეთქებების და სიკვდილობის გამოწვევის საშიშროების არსებობა</li> <li>• COVID-19-ის კლასტერული და/ან შიდა გადაცემა</li> <li>• იმუნიზაციის სამსახურის პერსონალი დაკავებულია COVID-19-ისთვის მზადებასა და საპასუხოდ</li> </ul>	
--	--

**დანართი N1**

**COVID-19 პანდემიის დროს, ვირუსის გადაცემის რისკის შესამცირებლად ვაქცინაციის პროცესში შესატანი პროგრამული ცვლილებები.**

იმუნიზაციის პროცესი თანხვედრაში უნდა იყოს იპკ ეროვნულ გაიდლაინებთან და უნდა შეიცავდეს შემდეგს:

**ა. COVID-19 ექსპოზიციის რისკის შემცირება:**

- არსებული საკომუნიკაციო გზების გამოყენება იმუნიზაციით მომსახურების, იმუნიზაციის სესიებზე ვიზიტების ჩასანიშნად და იშვამ შეტყობინების უზრუნველსაყოფად;
- ვაქცინაციის ვიზიტებისა და ბავშვის პატრონაჟის ვიზიტების შეთავსების, ასევე მოსაწახულებელ კაბინეტთა რაოდენობის შესამცირებლად სამედიცინო გასინჯვისა და ვაქცინაციის შეთავსების შესაძლებლობის განხილვა.

**ბ. ადმინისტრაციული კონტროლი:**

- მთავარი და სარეზერვო თანამშრომლების ვირუსის გავრცელების პრევენციის სწავლება იმუნიზაციის სესიების დროს;
- იმუნიზაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მობილური ჯგუფების შექმნის შესაძლებლობის განხილვა;
- ექსპოზიციის რისკის შეფასება იმ მედპერსონალს შორის, რომელსაც აქვს COVID-19 -იან პაციენტთან შეხების ისტორია;
- მოსაცდელში ხალხის მოზღვაების გამორიცხვა ვიზიტების წინასწარი დაგეგმვის საშუალებით;
- მშობლებისთვის/მეურვეებისთვის ინფორმაციის გაზიარება COVID-19-ის გავრცელების პრევენციის ზომების შესახებ (სოციალური დისტანცირება და ხელის და რესპირატორული ჰიგიენა).

**გ. გარემოსა და დაგეგმარების კონტროლი**

- ვაქცინაციის წარმართვა პრიორიტეტულად იმუნიზაციისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში ან სამედიცინო დაწესებულებაში, განცალკევებულ, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში;

- მოსაცდელისთვის ვენტილირებული ადგილის არსებობა, სადაც იქნება სოციალური დისტანცირების საშუალება.

#### დ. სტანდარტული უსაფრთხოების ზომები

- ხელი ჰიგიენის პროცედურების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, ნემსის ჩხვლეტის ან ბასრი საგნებით კანის საფარველის დაზიანების პრევენციის უზრუნველყოფა, ნარჩენების მართვის, დასუფთავების და დეზინფექციის პროცედურების შესაბამისობა ეროვნულ გაიდლაინებთან;
- ყველა რეკომენდებული ვაქცინით და შესაბამისად იმუნიზებული სამედიცინო პერსონალი.

#### ე. ვაქცინებზე მოთხოვნა და მიწოდება

- მოსახლეობის და პროდუქციის შეზღუდული მოძრაობის, ასევე, მოდიფიცირებული იმუნიზაციის გრაფიკის, ვაქცინის დანაკარგის შესაძლო ზრდის გამო ვაქცინებზე მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინება. პროგნოზული საჭიროებების, მიწოდებათა სიხშირის და უსაფრთხო მარაგების დონეების, ცივი ჯაჭვის ხელმისაწვდომობის და მოცულობების რეგულარული განახლება.

#### ვ. იმუნიზაციით გამოწვეული გვერდითი მოვლენები

- თანდართული გვერდითი მოვლენების მატების რისკისთვის მზადყოფნა SARS-CoV-2 პარალელური მიმდინარეობის გამო. ვაქცინაციის მიღების შემდეგ ყველა ვაქცინირებულის, დაკვირვების ქვეშ მოქცევა. გვერდით მოვლენებზე ზედამხედველობის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა კვლევის და მიზეზ-შედეგობრიობის შესაფასებლად.

#### დამატებითი ინფორმაცია:

[www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

ცხელი ხაზი: 1505

[www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

ცხელი ხაზი: 116001

**StopCoV.ge**



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030137921694420

№ 01-123/ო

25 / მარტი / 2020 წ.

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევასთან კონტაქტირებულთა მართვის დროს გასატარებელი დროებითი მეთოდური რეკომენდაციები“ N1 დანართის შესაბამისად;

ბ) „ინფექციის პრევენციისა და კონტროლის დროებითი რეკომენდაცია (გაიდლაინი) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიმწოდებლებისათვის“ N2 დანართის შესაბამისად;

გ) „მგზავრების თვითგამოკითხვის კითხვარი“ N3 დანართის შესაბამისად;

დ) „COVID-19 შემთხვევის განსაზღვრება (დროებითი)“ N4 დანართის შესაბამისად;

ე) „ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) ქვეყანაში შემოტანისა და გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, კონტაქტირებულ პირთა დროებითი იზოლაციის პერიოდში სამედიცინო ზედამხედველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განხორციელების პროტოკოლი (დროებითი)“ N5 დანართის შესაბამისად;

ვ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციისადმი (COVID-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები“ N6 დანართის შესაბამისად;

ზ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების ქვეყნიდან საერთაშორისო მოგზაურთათვის განკუთვნილი რეკომენდაციები“ N7 დანართის შესაბამისად;

თ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები საერთაშორისო მოგზაურთათვის/ტურისტული კომპანიებისათვის“ N8 დანართის შესაბამისად;


ი) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები იზოლაციაში მყოფი პირებისათვის“ N9 დანართის შესაბამისად;

- კ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვითიზოლაციაში მყოფი პირებისთვის“ N10 დანართის შესაბამისად;
- ლ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვითმფრინავის ბორტის ეკიპაჟის წევრებისათვის“ N11 დანართის შესაბამისად;
- მ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის“ N12 დანართის შესაბამისად;
- ნ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციისადმი (COVID-19) სავარაუდოდ ექსპოზირებული შშმ პირთა განთავსების ობიექტებში დასუფთავება- დეზინფექციისა და იზოლირებულ პირთა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მომსახურების (დასუფთავება, საკვების/პროდუქტის დარიგება-მიწოდება) განმახორციელებელი პერსონალისთვის“ N13 დანართის შესაბამისად;
- ო) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) დადასტურებული ან საეჭვო დიალიზზე მყოფი შემთხვევებისთვის“ N14 დანართის შესაბამისად;
- პ) „რეკომენდაციები სტომატოლოგიური დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების შემთხვევაში“ N15 დანართის შესაბამისად;
- ჟ) „ინფექციის კონტროლის ღონისძიებები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით (COVID-19) დაინფიცირებული პაციენტის გარდაცვალების დროს“ N16 დანართის შესაბამისად;
- რ) „გეგმური იმუნიზაციის რეკომენდაციები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ N17 დანართის შესაბამისად;
- ს) „პერინატალური სერვისები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ N18 დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის N01-62/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



ეკატერინე ტიკარაძე